KA040193448862620

საქართველო, თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. №7; ტელ.: (+995 32) 2 19 27 27; ელ–ფოსტა: info@csb.gov.ge; www.csb.gov.ge

№ 288/სა **03 / აგვისტო / 2020 წ.**

ბრძანება

„პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს შექმნის და მისი შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2020 წლის 12 ივნისის №150/სა ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-17 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სამსახურის ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის № 181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს შექმნის და მისი შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2020 წლის 12 ივნისის №150/სა ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება/დამატება და ბრძანების:

ა) პირველი მუხლის „გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„გ) ირმა ხარშილაძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი - საბჭოს წევრი;"

ბ) პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ" ქვეპუნქტი:
„ზ) კობა ყალიჩავა - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი.“

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბიუროს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ქარდავა